ინფორმაცია საერთაშორისო კონფერენციისა და ბაფის საერთო კრების შესახებ

ბაფის პატივცემულო წევრებო!

სიამოვნებით გატყობინებთ, რომ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას პროფესიული საქმიანობის 30 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, 2026 წლის 29 და 30 მაისს გაიმართება 2 ღონისძიება:

- 29 მაისი – საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „პროფესიული გამოწვევები და შესაძლებლობები ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში";
- 30 მაისი – ბაფის საერთო (31-ე) კრება.

ღონისძიებების ჩატარების ადგილი:
თბილისი, ექსპო ჯორჯია, წერეთლის გამზ. 118

ინფორმაცია კონფერენციის შესახებ

კონფერენციის სპონსორები:

- PwC საქართველო „გენერალური სპონსორი"
- შპს „იუაი" „გენერალური სპონსორი"
- შპს გრანთ თორნთონ „ოქროს სპონსორი"

კონფერენციის თემატიკა

- სახელმწიფო სექტორის გამოწვევები და შესაძლებლობები
  - სახელმწიფო საწარმოების სახაზინო მომსახურება და ერთიან ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართვის პროცესები (მიმდინარეობა)
  - პროექტის ფინანსური ანგარიშგებები და დარიცხვის მეთოდზე გადასვლის გამოწვევები
- კერძო სექტორის გამოწვევები და შესაძლებლობები
  - ხარისხის მონიტორინგის პრაქტიკა. პროფესიული ორგანიზაციების ადგილი და როლი მონიტორინგის პროცესში
  - პროფესიული განათლება და ეთიკა: პროფესიის მდგრადი განვითარების საფუძველი
  - ხელოვნური ინტელექტი და ავტომატიზაცია ბუღალტრულ პრაქტიკაში
  - მომავლის პროფესიონალი ბუღალტერი – საჭირო უნარები და კომპეტენციები

კონფერენციის მიზანი

- პროფესიაში საერთაშორისოდ და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მსჯელობა, საქართველოში არსებული გამოწვევებისა და მათი საპასუხო ნაბიჯების განსაზღვრა.
- სხვადასხვა წლებში ბაფის მიერ ჩატარებულმა კონფერენციებმა (12 საერთაშორისო), მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვის საქმეში. დარწმუნებული ვართ, დაგეგმილი კონფერენციაც ანალოგიური შედეგების მომტანი იქნება პროფესიისთვის.

კონფერენციის მონაწილეები

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ: საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების, პროფესიული ორგანიზაციების, აუდიტური კომპანიების, ბიზნესასოციაციების, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის, ACCA-ის, მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციაში მონაწილეთა საერთო რაოდენობა განსაზღვრულია არაუმეტეს 100 წარმომადგენლით, მ.შ. 50 ბაფის კორპორაციული წევრებიდან. მონაწილეთა რაოდენობის შეზღუდულობისა და შერჩევის სამართლიანობის პრინციპის დაცვის მიზნით, **არასპონსორი კომპანიებისა და ინდივიდუალური აუდიტორებისათვის** კონფერენციაში მონაწილეობის საფასური განისაზღვრა 1000 ლარით, ერთ წარმომადგენელზე.

სპონსორი კომპანიების წარმომადგენლებისთვის განსაზღვრული კვოტები:

- გენერალური სპონსორი – 5
- ოქროს სპონსორი – 3
- სპონსორი – 2

სპონსორობის ან/და კონფერენციაში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ბაფის ელ.ფოსტაზე (baf@baf.ge) ან ტელეფონზე (235 01 57; 235 43 97) 2026 წლის 30 პრილამდე.

მოხარული ვიქნებით ვუპასუხოთ ნებისმიერ ტექნიკურ შეკითხვას.

29-30 მაისის ღონისძიებების პროგრამა

საერთაშორისო კონფერენცია

29-30 მაისი 2026 | თბილისი, საქართველო

კონფერენციის სპონსორები:

- PwC საქართველო „გენერალური სპონსორი“
- შპს „იუაი“ „გენერალური სპონსორი“
- შპს გრანთ თორნთონ „ოქროს სპონსორი“

კონფერენციის თემა: „პროფესიული გამოწვევები და შესაძლებლობები ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში“

ჩატარების ადგილი: ექსპო ჯორჯია აკ. წერეთლის გამზირი 118, საკონფერენციო დარბაზი 3.

კონცეპტუალური შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესია სწრაფად იცვლება ტექნოლოგიური პროგრესის, გლობალური ეკონომიკური პროცესებისა და ინსტიტუციური რეფორმების გავლენით. თანამედროვე გარემო მოითხოვს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებას, საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემების განვითარებას, პროფესიული განათლების გაძლიერებას და ეთიკური სტანდარტების დაცვას.

კონფერენციის მიზანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და პროფესიული საზოგადოების გაძლიერება.

კონფერენციის პროგრამა

29 მაისი, 2026

09:00 – 09:30	მონაწილეთა რეგისტრაცია (ყავა/ჩაი)
09:30 – 09:45	კონფერენციის ოფიციალური გახსნა

საჯარო განხილვა (პანელი) 1 | 09:45 – 10:30

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის ტრანსფორმაცია: IPSAS-ის დანერგვა და ანგარიშგების სისტემის განვითარება

საჯარო განხილვა შეეხება სახელმწიფო სექტორში მიმდინარე ფინანსური მართვის რეფორმებს, მათ შორის სახელმწიფო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სისტემაში ინტეგრაციას და დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სტანდარტების დანერგვის პრაქტიკულ საკითხებს.

- სახელმწიფო საწარმოების სახაზინო მომსახურება და ერთიან ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართვის პროცესები (მიმდინარეობა);
- პროექტის ფინანსური ანგარიშგებები და დარიცხვის მეთოდზე გადასვლის გამოწვევები (Accrual Based IPSAS)

პანელის წამყვანი:

დავით გამყრელიძე
სახაზინო სამსახურის უფროსი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გამომსვლელები:

ზურაბ თოლორდავა
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

არმან ვატიანი
PULSAR პროგრამა, მსოფლიო ბანკი

საჯიდ რაზა
აზიის განვითარების ბანკის (ADB) საქართველოს მისიის ფინანსური მართვის ფოკალი, ასევე სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის

ნინო ქადაგიშვილი
დირექტორი, „შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“ (PwC საქართველო)

პანელი 2 | 10:30 – 12:00

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა: ზედამხედველობა, მონიტორინგი და პროფესიული ორგანიზაციების როლი

დისკუსია შეეხება აუდიტის ხარისხის მონიტორინგის თანამედროვე პრაქტიკას და პროფესიული ორგანიზაციების როლს პროფესიული სტანდარტების დაცვასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

- ხარისხის მონიტორინგის პრაქტიკა.
- პროფესიული ორგანიზაციების ადგილი და როლი მონიტორინგის პროცესში

პანელის წამყვანი:

დავით მჭედლიძე
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

გამომსვლელები:

თორნიკე ძაგნიძე
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ნინო კეკენაძე
აუდიტის ხარისხის ინსპექტორი, ფინანსური ანგარიშგების საბჭო, ლონდონი, გაერთიანებული სამეფო

ადრიან ლიმი
წევრების ჩართულობისა და გამოცდილების გლობალური ხელმძღვანელი, IFAC

დევიდ ფოთს
პოლიტიკისა და რეგულირების დირექტორი,
ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაცია (AIA)

სერგეი ციციაკოვი
ესტონეთის აუდიტორთა ასოციაცია

ნანა ღვალაძე
აზიის განვითარების ბანკი

ანა კუსრაშვილი
დირექტორი, შპს იუაი

თამარ ღავთაძე
ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ლიდერი,
„ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“ (PwC საქართველო)

12:00 – 12:20 შესვენება (ყავა/ჩაი)

პანელი 3 | 12:20 – 13:30

პროფესიული განათლება და ეთიკა:
ბუღალტრის პროფესიის მდგრადი განვითარების საფუძველი

პანელში განხილული იქნება განგრძობითი პროფესიული განათლების მნიშვნელობა და ეთიკური სტანდარტების როლი პროფესიის განვითარებაში.

- განგრძობით განათლების პრაქტიკა და გამოწვევები
- პროფესიული ეთიკის სფეროში არსებული გამოწვევები

პანელის წამყვანი:

ლევან საბაური
გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი, თსუ

გამომსვლელები:

დავით სხილაძე
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, უფროსი სპეციალისტი

ადრიან ლიმი
წევრების ჩართულობისა და გამოცდილების გლობალური ხელმძღვანელი, IFAC

სენემ როს-ფორესტერი
აზერბაიჯანისა და საქართველოს რეგიონების განვითარების მენეჯერი, ACCA

ფილიპ ტერნბული
აღმასრულებელი დირექტორი, ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაცია (AIA)

ლევან საბაური
გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

ვახტანგ ცაბაძე
შპს გრანთ თორნთონი, ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

13:30 – 14:30	ლანჩი

პანელი 4 | 14:30 – 17:35

ბუღალტრის პროფესიის მომავალი:

ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია და ახალი პროფესიული კომპეტენციები

- ხელოვნური ინტელექტი და ავტომატიზაცია ბუღალტრულ პრაქტიკაში
- მომავლის პროფესიონალი ბუღალტერი – საჭირო უნარები და კომპეტენციები
- პანელის წამყვანი: ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაცია (AIA)

გამომსვლელები:

ვერნონ სოარე
კონსულტანტი, ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაცია (AIA)

დევიდ ფოთს
პოლიტიკისა და რეგულირების დირექტორი, ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაცია (AIA)

ადრიან ლიმი
წევრების ჩართულობისა და გამოცდილების გლობალური ხელმძღვანელი, IFAC

სენემ როს-ფორესტერი
აზერბაიჯანისა და საქართველოს რეგიონების განვითარების მენეჯერი, ACCA

თამარ ღავთაძე
„შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“ (PwC საქართველო)

16:00–16:20	შესვენება (ყავა/ჩაი)
17:35–18:00	კონფერენციის შეჯამება და დახურვა
19:30–22.00	სტუმრებისა და ბაფის ერთობლივი ვახშამი

30 მაისი, 2026

9.00–14.00	ტურისტული ღონისძიება უცხოელი სტუმრებისთვის
15.00–18.00	ბაფის 30 წელი და საერთო კრება
19:00–22.30	საზეიმო ვახშამი კონფერენციისა და ბაფის საერთო კრების დელეგატების მონაწილეობით